პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 51 (7612)

11 მარტი,
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რაც დღეს „დინამოს" ასე სჭირდება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 10 მარტი. 32 ათასი მაყურებელი.

„დინამო"
(თბილისი)

ქანთარია
პაიკიძე
ჩივაძე
თევზაძე
არზიანი
სიჟინავა
სვანაძე
სულაქველიძე
გუცაევი
ცაავა
შენგელია

2:0 (2:0)

„ფახთაქორი"
(ტაშკენტი)

იანოვსკი
იაკიმცოვი
ბელიალოვი
ჟურავლიოვი
ახმედოვი
გესი
ბონდარენკო
იურჩიშინი
ივანოვი
შკვირინი
კაბაევი

71 წთ. ცაავას ნაცვლად ქაქილაშვილი, 75 წთ. შენგელიას ნაცვლად ჟვანია.

მსაჯი: ალექსანდრე მუშკოვეცი (მოსკოვი).

1:0 (სულაქველიძე, 30 წთ): კომბინაცია მინდვრის საკუთარ ნახევარზე წამოიწყო ჩივაძემ. შემდეგ სვანაძე, ისევ ჩივაძე, სვანაძე-ცაავა-სულაქველიძე.

2:0 (შენგელია, 45 წთ): სულაქველიძე-ცაავა, ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარემ. ბურთს მიუსწრო შენგელიამ.

კუთხურები: 12:3 (9:0).

საჯარიმო დარტყმები 12:12 (6:9)

კარში დარტყმები: 19:11 (11:6), ზუსტი: 8:2 (5:2), საჯარიმო მოედნიდან: 12:2 (7:2)

მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე მინსკის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა ვენიამინ არზამასცევმა თბილისელთა პრობლემებზე მოკლედ თქვა: „მთავარი პირველი ორი მატჩის მოგებაა და სულ ერთია, ლამაზად და ეფექტურად მოიპოვებს გუნდი ქულებს თუ გაჭირვებით".

სწორედ ამ განწყობით გამოვიდნენ ჩემპიონატის პირველი მატჩის სათამაშოდ ქართველი ფეხბურთელები. ტაიმის 15 წუთი ტაშკენტელთა კარის იერიშებში გაილია. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს (მე-12 წთ.) მცველებმა აკრძალული ილეთით შეაჩერეს გუცაევი — პენალტი. შენგელიას დარტყმას კაცი ვერც სუსტს დაარქმევს და ვერც უზუსტოს, მაგრამ გოლკიპერმა გამოიცნო მიმართულება და თანაგუნდელები ერთ ნაღდ გოლს გადაარჩინა.

„ფახთაქორი" თავს იცავს—კაბაევის გარდა ყველანი მეტწილად მინდვრის საკუთარ ნახევარზე არიან. საკმაოდ იშვიათი და გაუბედავი საპასუხო შეტევები თბილისელებს ვერავითარ საფრთხეს ვერ უქმნის. და მაინც, ამ მართლაც იშვიათი შეტევების უვნებელყოფისათვის ერთობ ხშირად უხდებოდათ მცველთა მიხმარება სულაქველიძესა და სვანაძეს. თუმცა, ამაში გასაკვირი არაფერია — გუშინდელ შეხვედრაში მონაწილე 4 სტაჟიანი მცველიდან ოსტატობა და გამოცდილება მხოლოდ ჩივაძეს აქვს საკმარისი. პაიკიძეს, არზიანსა და თევზაძეს ჯერ კიდევ უჭირთ, მაგრამ იმედია, მატჩიდან მატჩამდე ყველაფერი თანდათან მოგვარდება.

თქმა არ უნდა, ამჯერად ჩვენი ოპონენტი არც ისე ძლიერად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ „ფახთაქორთან" მატჩში „დინამოს" დაცვამ ურთიერთდაზღვევა შედარებით უკეთ მოაგვარა. ამ თვალსაზრისით ურიგოდ არ ჩანდა მინდორზე სულაქველიძე-თევზაძის წყვილი. ახალგაზრდა ფეხბურთელის იერიშში ყოველ გაბედულ ჩართვას სულაქველიძე საიმედოდ ფარავდა ზურგიდან. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სვანაძე, რომელმაც ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ „დინამოს" დაცვის მარჯვენა ფლანგს ბზარი არ გასჩენოდა.

ძალზე ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს თბილისელებმა 30-ე წუთზე. მინდვრის საკუთარ ნახევარზე მშვიდად დაწყებული კომბინაცია ელვისებურად დაასრულეს ცაავამ და სულაქველიძემ. მაყურებელს დიდი ხნით ახსომდება ასეთი გოლები. კომბინაცია შესრულების თვალსაზრისით საკმაოდ რთული იყო და „დინამოს" ნახევარმცველთა ოსტატობაც სწორედ იმაში გამოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ერთობ სადად გამოიყურებოდა.

ამ გოლის შემდეგ თბილისელთა იერიშები ისევ სახიფათო გახდა. ტაიმის უკანასკნელ წუთს კი სტუმართა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა. ამ გოლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მინდორზე წვრილმანი, ეგრეთ წოდებული მეორეხარისხოვანი სიტუაციები არ არსებობს, რომ ნებისმიერ შეცდომასა თუ კარგ „სვლას" სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

დაახლოებით მინდვრის ცენტრში, იმ დროს, როცა ბურთი მეტოქეს ჰქონდა, სულაქველიძემ გადაწყვიტა გაეძნელებინა მისთვის თბილისელთა კარისაკენ წინსვლა — ფეხებში ჩაუხტა ტაშკენტელ ფეხბურთელს. ბურთმა მისამართი შეიცვალა და ცაავასთან აღმოჩნდა. მერე მშვენივრად ითამაშა ახალგაზრდა ფეხბურთელმა, მარცხნივ გადაინაცვლა და ძლიერად დაარტყა კარში, მეკარის მიერ უხერხულად მოგერიებულ ბურთს მიუსწრო შენგელიამ და ზუსტი დარტყმით გოლიც გაიტანა. და მაინც, მთელი ამ კომბინაციის გადამწყვეტ და ძირითად მომენტად სულაქველიძის სწორი გადაწყვეტილების აღნიშვნა უფროა მართებული. თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი თამაში თბილისის „დინამოს" ყველა მოთამაშეს ჯერჯერობით არ ახასიათებს. ვერ ახერხებს „დინამო" მეტოქისთვის მის ნახევარზევე ბურთის წართმევის ორგანიზებასაც. აქაც უნდა დავამატო სიტყვა ჯერჯერობით, რადგან ეს სახვალიო საქმეა, ხვალინდელ დღეს კი ფეხბურთის ქართველი ქომაგნი იმედით შეჰყურებენ.

მეორე ტაიმი პირველისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მასპინძელთა იერიშებს საგრძნობლად მოაკლდა სიმძაფრე, რაც თბილისელთა ნახევარდაცვის შედარებით პასიურმა თამაშმა განაპირობა. თუმცა, მათი დადანაშაულებაც არ იქნებოდა სწორი. „ფახთაქორმა" მეტოქის ტემპის დაგდებას ვერაფრით უპასუხა და მატჩიც მშვიდად წავიდა უკვე გამოკვეთილი დასასრულისაკენ. ისიც ბუნებრივია, რომ ორმა ცვლილებამ „დინამოს" შემადგენლობაში ველარ გამოაცოცხლა უკვე განელებული თამაში.

„დინამომ" დამაჯერებლად გაიმარჯვა თავის პირველ, მართალია, ჩვეულებრივ მატჩში და ჩვეულებრივ მეტოქესთან, მაგრამ ძალზე კარგად ვგრძნობ, რა განსაკუთრებული ფასი აქვს ამ ორ ქულას გუნდისთვის, რომელსაც დღეს ასე ესაჭიროება რწმენა საკუთარი თავისა.

ირაკლი ბერიაშვილი.

სხვა მატჩები:

„დნეპრი" —
„შალგირისი" 2:2

„ნეფთჩი" —
„დინამო" მ. 1:2

ცსკ —
ასკ რ. 2:1

„ქაირათი" —
„დინამო" კ. 1:1

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზემოთ — საპატიო მისია დაეკისრათ თბილისის „დინამოსა" და ტაშკენტის „ფახთაქორის" კაპიტნებს — ალექსანდრე ჩივაძესა და ალექსანდრ იანოვსკის: მათ აღმართეს 47-ე საკავშირო ჩემპიონატის ალამი; მეტოქის კარს უტევს ვლადიმერ გუცაევი; ქვემოთ მარცხნივ — გრიგოლ ცაავას თავური დარტყმა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



ელვა-ინტერვიუ

მატჩის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის „დინამოსა" და ტაშკენტის „ფახთაქორის" უფროს მწვრთნელებს დავით ყიფიანსა და იშტვან სეკეჩს. აი, რა თქვეს მათ:

დავით ყიფიანი: „ყოველი გამარჯვება თავისთავად სასიხარულოა, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმატება ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისის „დინამოს" ბოლო ოთხი წელია არ მოუგია ეგრეთ წოდებული „გახსნის მატჩი", „ფახთაქორთან" მოპოვებული ორი ქულა კიდევ უფრო მეტ წონას შეიძენს. ასე რომ, შედეგით და, ნაწილობრივ, თამაშითაც, კმაყოფილი ვარ. ნაწილობრივ-მეთქი, ვამბობ და აი, რატომ: გუნდმა შეიძლება კარგად ითამაშოს მატჩის უმეტესი ნაწილი, მაყურებელიც მოხიბლოს, მაგრამ შექმნილ შთაბეჭდილებას აკნინებს სუსტად ჩატარებული უკანასკნელი წუთები — მოგვიანებით მიღებული ემოციები ხომ გარკვეულად ჩრდილავს ადრინდელს. დღევანდელი მატჩის ბოლო 25 წუთი კი ვერ იყო ისეთი, როგორიც ჩვენც და ჩვენს ქომაგებსაც სურდათ ყოფილიყო.

თამაშმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს, რაც ყველაზე უკეთ, ალბათ, მწვრთნელებმა და გუნდის წევრებმა ვიცით".

იშტვან სეკეჩი: „მატჩისგან ერთგვარად გაორებული შთაბეჭდილება დამრჩა. ის, რომ დინამოელებმა თამაშის უკლებლივ ყველა კომპონენტში გვაჯობეს (განსაკუთრებით — პირველ ტაიმში), მე მგონი საკამათო არ არის, მაგრამ მეორე მხრივ, „ფახთაქორის" კარში გატანილი გოლები, რომლებმაც გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი, ჩვენი მცველების უხეში შეცდომების წყალობით გავიდა. ეს შეცდომები რომ არა...

თუმცა, რა თქმა უნდა, დინამოელებმა სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს. მათ ისეთი თამაში უჩვენეს მაყურებელს, როგორიც ყველას გვახარებს — უბრალო გულშემატკივარსაც და ფეხბურთის სპეციალისტსაც. მატჩმა ცხადყო, რომ კრიზისი, რომელიც თბილისის „დინამოში" ბოლო დროს შეინიშნებოდა, ჩემი აზრით, დაძლეულია. ეს კი პირადად მე და, დარწმუნებული ვარ, ყველა ჭეშმარიტ ქომაგს, დიდად გვახარებს. არც შეიძლება, სხვაგვარად იყოს..."

გავესაუბრეთ დინამოელთა დებიუტანტს იური სიჟინავასაც — მან ხომ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა „დინამოს" მაისურით.

„ძირითად შემადგენლობაში უკვე რამდენიმეჯერ ვითამაშე, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრაში მონაწილეობა სულ სხვაა. ამიტომ, თამაშის წინ საკმაოდ ვღელავდი. არ ვიცი, მეტყობოდა თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი, თავი არ შემერცხვინა. რამდენად შევძელი ეს, ამაზე მაყურებელმა იმსჯელოს".

ორნი

ვლადიმერ მდივანი

გინახავთ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ზოგი ვარსკვლავი დიდია, ზოგი — პატარა, ზოგიც — სულ თვალით შეუმჩნეველი. დიდი და კაშკაშა ვარსკვლავები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან ბრწყინვალებაში.

ივლისის ხვატიან ღამეს ვარსკვლავებით მოჭედილი ცის დარია ქართული ფეხბურთის ცის კაბადონიც. ტყავის ბურთის ქართველი ჯადოქრებიც ხომ ყოველთვის ჩანდნენ და ბრწყინავდნენ საფეხბურთო ასპარეზზე.

ჩვენი სპორტის ორ საჩინო რაინდს, ქართული ფეხბურთის ორ ვირტუოზს ანდრო ჟორდანიას და ბორის პაიჭაძეს ეძღვნება ეს წერილი.



ეს სურათები „ლელოს“ ფოტოარქივიდანაა. ზევით — ქართული ფეხბურთის პატრიარქი ანდრო ჟორდანია; ქვევით — ბორის პაიჭაძე (მარცხნივ) და იბრაგიმ ხარჭველაძე ერთ-ერთი საწვრთნელი მატჩის დროს.

ახლახან სპორტულმა საზოგადოებრიობამ ნახა საარქივო კინოლენტებისაგან დამონტაჟებული ფილმი, რომელიც ჩვენს გამოჩენილ ფეხბურთელსა და მწვრთნელს ანდრო ჟორდანიას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ ფილმი შეიქმნა ენთუზიასტთა თაოსნობით. და მან თითქოს ხორცი შეასხა ამ კაცის არდავიწყების, მისი ხსოვნის უკვდავყოფის გაუნელებელ სურვილს, რაც დიდი ხანია ცოცხლობდა თითოეულ ჩვენგანში.

კეთილი ხსოვნა, თავმოდრეკილი პატივისცემა ჩვენი ღირსეული წარსულისადმი, ამ წარსულის გმირებით თავმოწონება და სიამაყე — აი, ის წარმმართველი პოზიცია, რომელსაც უნდა მივდიოთ, როგორც ცხოვრების ზნეობრივ კომპასს. მაგრამ განა მარტო ის არის მთავარი, რომ ამგვარი პოზიცია ზნეობრივი პოზიციაა? განა როცა ხსოვნას მივმართავთ, ამავე დროს ჩვენ საკუთარ გამოცდილებასაც არ მოვუხმობთ?.. ვაი მას, ვინც წარსულის ხსოვნას უგულებელყოფს, ვინც ფიქრობს, რომ სამყაროს შექმნა მისით დაიწყო. ასეთი კაცი თავისი თავის ქურდს უფრო ჰგავს...

ფილმი, რომელზეც ზევით მოგახსენეთ, სიყვარულსა და პატივს მიაგებს ჩვენი ფეხბურთის წარსულს. ამ თვალსაზრისით იგი ბევრ რამე გვასწავლის... თუმცა, თუნდაც იმიტომ, რომ ერთ პიროვნებას ეძღვნება, იგი არც ხარვეზებისაგან არის დაზღვეული. ეგეც არ იყოს, იმ დროს, როცა ფეხბურთელი ანდრო ჟორდანია ბრწყინავდა სტადიონებზე (ეს იყო ოციანი წლები და ოცდაათიანი წლების პირველი ნახევარი), კინემატოგრაფს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საამისო შესაძლებლობა და, გნებავთ, სურვილიც, რომ შეჯიბრებათა მსვლელობა აღებეჭდა. თუმცა, რადგან ამ წერილში ჩვენ მარტო ჟორდანიაზე არ ვაპირებთ საუბარს, თავს მოვალედ ვთვლით შევავსოთ ფილმის ხარვეზები, ის ცამეტწლიანი პერიოდი, როცა ანდრო ჟორდანია საქართველოში არ იყო. დასასრულ, ჩვენ არ ვაპირებთ მივდიოთ ფილმს, რომელიც უძლური იყო ეკრანზე აესახა ჟორდანიას თამაში მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იმდროინდელი კადრები ფირზე არ არის აღბეჭდილი. კალმისთვის კი ეს დაბრკოლება არ არსებობს.

მაინც როგორი იყო ანდრო ჟორდანია ფეხბურთის მინდორზე? ვფიქრობთ, ამის წარმოსადგენად თუნდაც ის თავისებურად განუმეორებელი ფაქტიც კმარა, რომ საფეხბურთო კარიერის დაწყებიდან დასასრულამდე, ესე იგი ჩვიდმეტიდან ოცდაცამეტი წლის ასაკამდე ანდრო მუდამ უცვლელი კაპიტანი იყო: თბილისისა და ივანოვოს საკლუბო გუნდებში, თბილისის, საქართველოს, ამიერკავკასიის ნაკრებ კოლექტივებში — ყველგან, სადაც კი უთამაშია! თუმცა კაპიტანი ალბათ მაინც არ არის ის სიტყვა, რომელიც ანდროს იმდროინდელ მოვალეობებს დაიტევდა. მაშინ შტატიანი მწვრთნელები არ იყვნენ და ანდრო, ჯერ კიდევ სავსებით ჭაბუკი, უკვე დამოუკიდებლად არჩევდა შემადგენლობას მატჩებისათვის, ხელმძღვანელობდა თამაშს თუ გუნდების წვრთნას. აი, რა ავტორიტეტი ჰქონდა ჯერ კიდევ ყრმობის წლებიდანვე — როგორც ფეხბურთელს, როგორც ადამიანს.

დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასპარეზზე გამოჩენის პირველი დღეებიდანვე იგი იყო არა მარტო არაჩვეულებრივი მოთამაშე, არამედ საფეხბურთო რუტინისა და მიმბაძველობის წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეც, — ბრძოლისა, რომელიც პროგრესული მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივ, ეროვნულ ელფერს ანიჭებდა ქართულ ფეხბურთს. იგი იქცა ქართული ფეხბურთის „მაძებრად“ და დაუღალავ პროპაგანდისტად. მან, ცხრამეტი წლის ჭაბუკმა, შეძლო დაეყოლიებინა თავისი ამხანაგები, თბილისის უნივერსიტეტის ფეხბურთელები, რომელთაც ჯიბეში გროშიც არ უჭყაოდათ, იმ გაჭირვების ჟამს (1923 წელი) თავისი ხარჯით ქუთაისს გამგზავრებულიყვნენ და იქაურ მკვიდრთათვის ფეხბურთი ეჩვენებინათ. ამ მოგზაურობამ ფასდაუდებელი ნაყოფი გამოიღო. თამამად შეიძლება ითქვას, მან დასაბამი მისცა ქუთაისში საფეხბურთო ცხოვრების ახალ საფეხურზე ასვლას. დაგვეთანხმებით, ეს მაგალითი სადღეისო საზომებითაც საგულისხმოა.

მაინც ვინ იყო ანდრო ჟორდანია? ნიჭიერი ფეხბურთელი? ო, დიახ! მაგრამ იგი კიდევ უფრო ნიჭიერი სელექციონერი და აღმზრდელი გახლდათ. და ეს მისთვის იმთავითვე დამახასიათებელი თვისებები განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა მაშინ, როცა ანდრო ჟორდანიამ ცხოვრება მთლიანად მწვრთნელის მოღვაწეობას დაუკავშირა.

ანდრო სამჯერ მიიწვიეს თბილისის „დინამოში“, სამივეჯერ — უმძიმესი გასაჭირის ჟამს, კრიზისის მომენტში. და მან სამჯერ შეძლო სასურველი გარდატეხა მოეხდინა, სამჯერ მოუტანა გუნდს ბრინჯაოს მედლები და სამჯერ გაიყვანა იგი საკავშირო თასის გათამაშების ფინალში. არ დაგავიწყდეთ, გარდატეხას მუდამ ახლდა გუნდის თამამი, გაბედული განახლება ახალგაზრდა ფეხბურთელებით, რითაც მწვრთნელი სამერმისოდ საიმედო მომავალს ქმნიდა.

ანდრო ჟორდანიას სახელთან, უფრო სწორად, ჟორდანიას, როგორც მწვრთნელის ნიჭიერებასთან არის დაკავშირებული თბილისის „სპარტაკის“ სენსაციური გამოჩენა უმაღლესი ლიგის კოლექტივებს შორის, ქუთაისის „ტორპედოს“ გადარჩენა 1964 წელს, როცა გუნდს საფეხბურთო ელიტის დატოვება ემუქრებოდა, ტყიბულის „მეშახტის“ გადაყვანა პირველ ლიგაში. რაც მთავარია, ანდრო ჟორდანიას ხსოვნას არ შეიძლება არ დავუკავშიროთ თვით ქართული ფეხბურთის თავისებური სახე, — ნათელი და მცხუნვარე, როგორც სამხრეთის მზე, მრავალხმიანი, როგორც ჩვენებური სიმღერა — ეს ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ქართველთა ეროვნული ბუნებისა, ქართული ხასიათისა. ანდრო ჟორდანია იყო დაუცხრომელი მოამაგე და მთესველი მარცვლისა, რომელმაც უხვად აღმოაცენა სწორედ ასეთი ფეხბურთის ყლორტები. თან, მას, როგორც არავის ჩვენს ფეხბურთში, უტყუარი ალღოთი შეეძლო მიეგნო ახალგაზრდა ტალანტისათვის და დიდი ცხოვრების საგზური მიეცა.

ხალხის გულს ვერ მოატყუებ. ხალხს გზა-კვალს ვერ აუბნევ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პიროტექნიკის ეფექტებით. მან იცის ჭეშმარიტი ფასი საქმის ერთგული სამსახურისა, რასაც ზოგჯერ იქნებ შეცდომებიც ახლდეს, მას შეუძლია სიყვარულის წილ სიყვარული გაიღოს, ერთგულებაზე ერთგულებით გიპასუხოს; მას შეუძლია გაგიგოს და შეცდომაც გაპატიოს. შეიძლება კი მწვრთნელის შეფასების კრიტერიუმად მის მიმართ ხალხის ეს დამოკიდებულება ავიღოთ? ალბათ შეიძლება. და თუ ასეა, ნება მიბოძეთ ერთი პატარა ეპიზოდი გავიხსენო. ანდრო ჟორდანიას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რომლებიც მის პრინციპულობას დაუშვებელ ჭირვეულობად და უფროსების აბუჩად აგდებად ნათლავდნენ. და აი, ერთხელ ამ „ერთგულმა ხალხმა“ ვითომ იპოვა საბაბი, რომ ანდრო მოეხსნათ ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელის პოსტიდან. მათ კინაღამ შეისრულეს განზრახვა, მაგრამ მაშინ მის დასაცავად ხმა აღიმაღლეს ავტოქარხნის მუშებმა. საქმეში ჩაერია პარტიის საქალაქო კომიტეტი და ანდრო მხოლოდ ამან გადაარჩინა. რა ბედნიერებაა, იყო ასეთი მწვრთნელი — ასე უყვარდე ხალხს, ასე გენდობოდეს!

თითქოს ყველაფერი ვთქვი ანდროზე, რისი თქმაც მოკლედ შეიძლებოდა. მაგრამ იმდროინდელ ჩვენს ფეხბურთზე კი მაინც ძალიან ბევრი დარჩა სათქმელი. თუ ფილმს მივყვებით, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მასში გამოტოვებულია ოცდაათიანი წლებისა და ორმოციანი წლების პირველი ნახევარი — ქართული ფეხბურთის უაღრესად მნიშვნელოვანი, საინტერესო მოვლენებით სავსე პერიოდი, რადგან ამ დროს, როგორც ვთქვით, ანდრო ჟორდანია არ იყო საქართველოში. ეს ხარვეზი უსათუოდ გეცემათ თვალში, თუმცა, ვიმეორებთ, ბუნებრივია, რომ ფილმში არ არის ნაჩვენები ის, რაც უშუალოდ ანდროს არ ეხება. ერთი შეხედვით ასეა. მაგრამ როცა კინოფილმის ავტორებმა ჟორდანია-მწვრთნელის ნიჭის საილუსტრაციოდ პირველი ომის შემდგომი წლების თბილისის „დინამოს“ მატჩები გვიჩვენეს, ამ მატჩებში გამოჩნდა ბორის პაიჭაძე, რომლის ფიგურაც ვერა და ვერ ჩაეტია მისთვის დაკისრებული ამ ილუსტრაციული როლის ჩარჩოებში. არც შეიძლებოდა ჩატეულიყო, რადგან მაშინ, 1945-46 წლებში, ბარე ათი წლის „სტაჟი“ ჰქონდა, როგორც ქართული ფეხბურთის ალამდარს. დიახ, როგორც კი გამოჩნდა პაიჭაძე, ნათელი გახდა, რომ ამიერიდან ქართულ ფეხბურთში განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი დაეკისრა არა ერთ, არამედ ორ პიროვნებას.

ბორის პაიჭაძე ფოთელია. ფეხბურთის თამაში იქ დაიწყო. პირველი აღიარებაც იქ მოიპოვა. 1933 წელს იგი პირველად ნახეს თბილისში — ფოთელთა და ბათუმელთა მატჩის დროს, რომელსაც რესპუბლიკის პირველობაში II ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა. სწორედ მაშინ დაადგეს თვალი. 1934 წელს იგი თბილისში გადმოვიდა, ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში ჩაირიცხა. თამაშობდა ინსტიტუტის გუნდში, რომელმაც 1935 წელს ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა. სწორედ მაშინ შეაყვარა თავი საქართველოს დედაქალაქს. მალე იგი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს და თავისი სპორტული ცხოვრება სამუდამოდ ამ გუნდს დაუკავშირა. მისი წინსვლა ჭეშმარიტად თავბრუდამხვევი იყო.

საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში მისი დებიუტი 1936 წლის აგვისტოში შედგა — მოსკოვის „სპარტაკთან“ საკავშირო თასის გათამაშების მატჩებში. ამ დებიუტმა ერთბაშად გაუთქვა სახელი თბილისელთა გუნდს და განსაკუთრებით ბორის პაიჭაძეს. იმ დროისათვის სამხრეთელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ფრთები გამაგრებული და გამობრძმედილ მეტოქესთან შედარებით, რომელიც მოსკოველთა გამორჩეული სიმპათიით იყო გარემოსილი, შეუბუმბლავი ბარტყები ჩანდნენ. მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებს სიურპრიზი ელოდათ: ეს „შეუბუმბლავი ბარტყები“ — ნამდვილი არწივის მართვეები გამოდგნენ, რომლებსაც თურმე ფრთების მძლავრად გაშლაც შეეძლოთ და მარჯვედ ჩანისკარტებაც. პირველი მატჩი ფრედ დაამთავრეს, მეორე დღეს კი, განმეორებით შეხვედრაში, სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს — 6:3.

ვიმეორებ, ერთსა და იმავე პერიოდში, ერთსა და იმავე მატჩებში გაითქვეს სახელი და დროის აღნუსხვა ახალი, უმაღლესი სპორტული სათვალავით დაიწყეს, როგორც თვით გუნდმა, ისე მისმა სულმა და გულმა — ბორის პაიჭაძემ. ისინი ერთ თოკში ჩააბა ბედმა. ამ ფეხბურთელს უდიდესი ბედნიერება ხვდა წილად: განუყოფელი გუნდის დიდებისგან, თავად სახელგანთქმული თანატოლი მისი თავდაპირველი წარმატებებისა, იგი იქცა ქართული ფეხბურთის ყველა საუკეთესო თვისების განხორციელებად, მის თავისებურ სიმბოლოდ; იგი იქცა ცოცხალ მაგალითად, რომელზეც ჩვენი ყმაწვილების არა ერთი და ორი თაობა აღიზარდა; ის არის ჩვენი ფეხბურთის მდიდარი ტრადიციების ერთ-ერთი ფუძემდებელი. შეიძლება ის ერთადერთი ფეხბურთელია საქართველოში, რომელმაც ჭეშმარიტად სახალხო სახელი მოიხვეჭა და ამ სახელს დღემდე ამაყად ატარებს. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით იგი ყველაზე კაშკაშა, გამორჩეული ფიგურაა იმათ შორის, ვინც ოდესმე ბრწყინავდა ქართულ ფეხბურთში.

ვის არ მოხიბლავდა მისი უზადო ნიჭი, უჩვეულო სილაღით გამოვლენილი მთელ მინდორზე მოხეტიალე ფორვარდის თვალისმომჭრელ დრიბლინგში. ნიჭი ამ ჭეშმარიტი ექსტრაოსტატისა, რომელსაც მუდამ შეეძლო უჩვეულოდ ცხარე საკაზმით შენელებული „საფეხბურთო კერძებით“, უჩვეულოდ ლამაზი სანახაობით გამასპინძლებოდა თვით ყველაზე მომთხოვნ გულშემატკივრებს და რომელსაც რუმინელებმა ფეხბურთის კარუზო უწოდეს.

რა უწყინარი ჩანდა მისი იერიშების დასაწყისი, როცა ერთმანეთში გადაცემები თითქოს ყოვლად უვნებელ დრიბლინგში გადადიოდა. მაგრამ წამიც და ყველაფერი სახეს იცვლიდა. მეტოქის კარისაკენ გამეტებით მიექანებოდა არა ის დინჯი, უწყინარი ფეხბურთელი, არამედ რაღაც დაუოკებელი ძალა, ერთბაშად მომსკდარი ზვავი, მოწინააღმდეგის ბანაკს წალეკვით რომ ემუქრებოდა. უფრო სწორი იქნება ეს განუმეორებელი დრიბლიორი შევადაროთ უშიშარ მებრძოლს, ანთებული ჩირაღდნით ხელში რომ დაჰქრის მინდორზე, რათა მოწინააღმდეგის დენთით სავსე საწყობში შეიჭრას და ჰაერში ატყორცნოს იგი. მისი ეშინიათ, მის შეკავებას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ. იგი მოუხელთებელია, მომენტს იპოვის თუ არა, ხვლიკივით დაუსხლტება გაფაციცებულ მეტოქეებს და უსათუოდ მიაღწევს მიზანს — ააფეთქებს მოწინააღმდეგის დაცვის ფორტებს.

არც ერთ ფეხბურთელს ასე დიდი, ასეთი სასიკეთო გავლენა არ მოუხდენია ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე. და თუმცა უკვე დიდი ხანია მწვანე მინდორზე აღარ გამოდის, ბორის პაიჭაძე დღესაც საფეხბურთო ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, დღესაც ერთგვარ ტონს აძლევს მას.

თითქოს მივეჩვიე, რაღაც უცნაური სითბო და სიმშვიდე მეღვრება სულში, როცა „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნაზე ჩემს წინ ამ ამაგდარი, ერთიანად მატჩის ჟინით და სულისკვეთებით ატანილი კაცის ჭაღარა კეფას ვხედავ... წლები გარბიან. ამ კაცს ჯერ ბორიას ეძახდნენ, მერე — ბორისს. ახლა ბატონ ბორისად იხსენიებენ. მაგრამ ამ ბატონ ბორისში მე ისევ იმ ცხრამეტი წლის ბორიას სულს ვცნობ.

* * *

ისინი ორნი არიან ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში...

უნგრელმა დიდოსტატმა ანდრე ლილიენტალმა, რომელიც საქართველოს ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტმა ლექციების წასაკითხად მიიწვია, რამდენიმე დღე დაჰყო თბილისში.

ა. ლილიენტალს (დაიბადა 1911 წ.) მეტად საინტერესო საჭადრაკო ბიოგრაფია აქვს. მას დაუმარცხებია მსოფლიო ჩემპიონები ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, მ. ეივე, მ. ბოტვინიკი და ვ. სმისლოვი. 1938-1976 წლებში იგი საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა. 1939 წელს მოსკოვის ჩემპიონი იყო, 1940 წელს სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა და სსრ კავშირის დიდოსტატის წოდებაც მიიღო, 1948 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა, 1950 წელს კი ფიდე-მ საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა. ა. ლილიენტალი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1976 წლიდან ა. ლილიენტალი უნგრეთში ცხოვრობს.

გული მუდამ ჩვენსკენ მოუწევს

ინტერვიუ

— ძალიან მიყვარს ჩემი მეორე სამშობლო საბჭოთა კავშირი, არ შემიძლია წელიწადში ერთხელ მაინც არ მოვინახულო იგი, — ამბობს ცნობილი მოჭადრაკე. — ამჯერად საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობაც მომეცა. აქ ბევრი მეგობარი მყავს.

ასე დაიწყო ჩვენი საუბარი სასტუმრო „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში.

— ხანგრძლივი მეგობრობა მაკავშირებდა ვიქტორ გოგლიძესთან, — განაგრძობს ჩვენი სტუმარი. — 1935 წელს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის დროს დავუახლოვდი. საოცარი ადამიანი იყო: გულუხვი, ყურადღებიანი, კეთილი. სამჯერ მაინც შევხვედრივარ ტურნირში (სუფრასთან ხომ აღარ მახსოვს, რამდენჯერ ვყოფილვართ ერთად) და ერთხელ ვერ მოვუგე. უთუოდ იგი ბევრს მიაღწევდა, ჭადრაკს რომ ბოლომდე გაჰყოლოდა.

თბილისში პირველად 1937 წელს ჩამოვედი, როგორც საბჭოთა კავშირის X ჩემპიონატის კონკურსგარეშე მონაწილე. მას შემდეგ ბევრჯერ ვეწვიე თქვენს რესპუბლიკას. 1944 წელს პატარა ტურნირშიც კი მივიღე მონაწილეობა. 60-იან წლებში სალო ფლორი და მე ხშირად ვყოფილვართ საქართველოს სტუმრები. ვატარებდით ერთდროული თამაშების სეანსებს, ვკითხულობდით ლექციებს.

ძალიან მომეწონა ჭადრაკის სასახლე, რომელიც პირველად ახლა ვნახე. მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს. ასეთი საჩუქარი სწორედ რომ დაიმსახურეს ქართველმა მოჭადრაკეებმა, პირველყოვლისა კი დიდოსტატმა ქალებმა.

უნგრეთში თუ სხვა ქვეყანაში ხშირად მეკითხებიან, რამ განაპირობა თქვენი დიდოსტატი ქალების ასეთი წარმატება. საზღვარგარეთ მათ შეურყეველი ავტორიტეტი აქვთ. შეძლებისდაგვარად ვცდილობ ავხსნა ეს ფენომენი. ვლაპარაკობ, მაგრამ ბოლოს თავად მიჩნდება უმარისობის გრძნობა. ამიტომ საუბარს ვამთავრებ რჩევით, თავად იმოგზაურონ საქართველოში და ახლოს გაეცნონ ქართველებს.

● ჩვენს რომელიმე მოჭადრაკე ქალს თუ შეხვედრიხართ?

— მათთან თამაშს არ ვინატრებდი. მაია ჩიბურდანიძემ და ნონა გაფრინდაშვილმა ბევრი დიდოსტატის „ცოდვა დაიდეს“. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: ჩემი აზრით, ორივე ვერა მენჩიკზე უკეთესად თამაშობს. დღეს თითქმის არავის უკვირს, როცა ისინი დიდოსტატებს ამარცხებენ. 30-იან წლებში კი ვერას ყაიმიც სენსაცია იყო. მოსკოვის 1935 წლის საერთაშორისო ტურნირში საზოგადოებამ სენსაციად მიიღო მე და ფლორმა მენჩიკს რომ ვერ მოვუგეთ. სხვათა შორის, სწორედ ეს დაკარგული ნახევარი ქულა დააკლდა ფლორს პირველი ადგილისთვის.

● მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრებებს თუ ადევნებთ თვალს?

— რასაკვირველია. ქალები, ყველა თუ არა, მათი ლიდერები მაინც უკვე გვეწევიან. ჩვენი მოჭადრაკეებიდან, მაგალითად, სწრაფად იზრდება ჟუჟა პოლგარი. დიდი ინტერესით ველი მაია ჩიბურდანიძის ახალ მატჩს მსოფლიო პირველობაზე. გაინტერესებთ ჩემი პროგნოზი? იგი შეინარჩუნებს ტიტულს, მაგრამ დიდი ბრძოლის შემდეგ. უამისოდ წარმოუდგენელია მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

● რას ფიქრობთ, სმისლოვ-კასპაროვის მატჩის შესახებ?

— ძალიან მძიმე მატჩი იქნება, ბევრს ჰგონია, რომ კასპაროვი გაანადგურებს სმისლოვს. ასე არ მოხდება. კასპაროვი ნიჭიერი მოჭადრაკეა. უნდა გითხრათ, მე იგი ფიშერს მაგონებს! გარი ახალგაზრდაცაა, პატივმოყვარეც. მაგრამ სმისლოვი ნამდვილი კერკეტი კაკალია და გამოუსწორებელი ოპტიმისტიც. თანაც, ამგვარ მატჩებში თამაშის უმდიდრესი გამოცდილება აქვს. ეს ცოტას არ ნიშნავს. ჩემი აზრით, პრეტენდენტის სახელის მოსაპოვებლად იმას მეტი შანსი აქვს, ვინც ფიზიკურ და ნერვულ დაძაბულობას უკეთ გაუძლებს.

● ვილნიუსში ჩასვლას ხომ არ აპირებთ?

— არა, შინ მიმეჩქარება. სხვათა შორის, შარშან ჰოლანდიაში გავემგზავრე კასპაროვ-კორჩნოის მატჩზე დასასწრებად, მაგრამ შეხვედრა სხვაგან გადაიტანეს. იქიდან ტილბურგში ჩავედი ანატოლი კარპოვის სანახავად. ბევრი ვისაუბრეთ. მან თქვა, რომ კასპაროვს წარმატების მეტი შანსი აქვს პრეტენდენტობისთვის ბრძოლაში. რაც შეეხება თავად კარპოვს, უდავოა, რომ იგი ჭეშმარიტად ღირსეული ჩემპიონია, უაღრესად ძლიერი და შეუპოვარი მოჭადრაკე.

● კიდევ როდის გვეწვევით?

— არ ვიცი, მაგრამ ძალიან კმაყოფილი კი მივემგზავრები. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჭადრაკის სახალხო უნივერსიტეტმა, საუცხოოდ აგიწყვიათ საქმე, გამაოცა მსმენელების ენთუზიაზმმა და უნარმა. ეს განსაკუთრებით ერთდროული თამაშის სეანსის დროს ვიგრძენი. თამაშის მსურველი იმდენად ბევრი შეიკრიბა, რომ სასაპარეზოდ დიდოსტატები ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი მოიწვიეს. შევხვდი თბილისისა და რუსთავის ბევრი საწარმოს ჭადრაკის გულშემატკივრებს და ძველ მეგობრებს. ერთი სიტყვით, მასპინძელთა სითბო და გულითადობა დიდხანს გამყვება.

ინტერვიუ აიღო
თენგიზ გიორგაძემ.

• • •

სურათზე: დიდოსტატი ა. ლილიენტალი ატარებს ერთდროული თამაშის სეანსს ჭადრაკის სასახლეში.

ჯავარ ლომიძის ფოტო.

დებიუტანტი

კობა გულიაშვილი

კლასიკური ჭიდაობა

დაიბადა 1969 წლის 13 აპრილს სოფელ მარტყოფში (გარდაბნის რაიონი). სწავლობს მარტყოფის მე-2 საშუალო სკოლის VIII კლასში. წონა 56 კგ, სიმაღლე 164 სმ. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“, მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გოდერძი ჯოხაძე. მოგებული აქვს 3 რესპუბლიკური პირველობა და 1 საკავშირო ტურნირი, საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე დაიკავა III ადგილი. შეყვანილია საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში და ემზადება საკავშირო სპარტაკიადისთვის.

საერთაშორისო კატეგორიისა...

საერთაშორისო კატეგორია თემიდას მსახურთა კვალიფიკაციის უმაღლესი საფეხურია. ახლახან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ თბილისელ არბიტრებს — გურამ ძაგანიასა და დავით დანელიას, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ხელბურთის მსაჯთა საერთაშორისო სემინარი.

გურამ ძაგანია 43 წლისაა, დამთავრებული აქვს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჟამად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი და დოცენტია. 15 წელიწადზე მეტია ემსახურება უმაღლესი ლიგის ხელბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატებს, უმსაჯია 500-ზე მეტი საკავშირო და 50-მდე საერთაშორისო შეხვედრისათვის. 1975 წელს მიენიჭა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება.

დავით დანელია 36 წლისაა. მან ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. მუშაობს სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ხელბურთის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში, მწვრთნელად. საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა 1980 წელს.

— სემინარი თებერვლის ბოლო რიცხვებში მოეწყო პოლონეთის ქალაქ ვროცლავში, — გვითხრა გურამ ძაგანიამ. — აქ, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ოთხდღიან მეცადინეობაზე, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ფედერაციათა მიერ მივლინებული მსაჯები შეიკრიბნენ, საბჭოთა კავშირიდან სულ ოთხნი ვიყავით — ჩვენ და კრასნოდარელთა წყვილი (ვლადიმერ კიაშკო და მიხეილ კისელიოვი). სემინარის რეგლამენტი ერთობ მკაცრი იყო: დილით მსოფლიო ჩემპიონატების მატჩების ვიდეოჩანაწერებს ვარჩევდით, შემდეგ ვაბარებდით გამოცდას თეორიაში (დადებითი შეფასების მისაღებად ორმოცი კითხვიდან ოცდათექვსმეტისთვის ზუსტად უნდა გვეპასუხა), საერთო ფიზიკურ მომზადებაში. მთავარი მაინც მსაჯობა იყო. სემინარის ყველა მონაწილემ იმსაჯა პოლონეთის პირველი ლიგის გუნდების (პოლონეთში უმაღლესი ლიგა არ არის) ჩემპიონატის თითო კალენდარული მატჩი. ფორმა, ჟესტიკულაცია, მოედანზე გადაადგილება, ცალკეული სათამაშო სიტუაციის აღქმის უნარი... ავტორიტეტული კომისია ყველაფერს პედანტური გულმოდგინებით აღნუსხავდა, შემდეგ კი ყველა მონაცემის გათვალისწინებით საბოლოო დასკვნა გამოჰქონდა. მე და დათოს მეტად პრინციპული მატჩი „გვერგო“ — წაგებული გუნდი პირველ ლიგას ეთიშებოდა და, ცხადია, თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა... როგორც ჩანს, საატესტაციო კომისიას მოვეწონეთ. საერთოდ, სემინარში მონაწილე ოცდაოთხი მსაჯიდან საერთაშორისო კატეგორია ოც მსაჯს მიენიჭა.

„მარცხი არ გვაღელვებს“

— ჩვენ აქ მოგებისთვის კი არა, სასწავლებლად ჩამოვედით, ამიტომ მარცხი სულაც არ გვაღელვებს, — განაცხადა კუვეიტის წყალბურთელთა ნაკრების კაპიტანმა 26 წლის აბდულა აბდულ ზადემ მას შემდეგ, რაც კუვეიტის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ (1968-70 წწ. დაბადებულნი) შეხვედრა ქართველი წყალბურთელების გამარჯვებით დამთავრდა (13:11).

სპეციალისტების აზრით, კუვეიტელებმა კარგად ითამაშეს. ისინი ძალზე მოძრავი, ტექნიკური, სტანდარტული სიტუაციების გათამაშებას კარგად დაუფლებული სპორტსმენები არიან. გუნდში მწვავედ დგას მეკარის პრობლემა, მაგრამ გუნდს საიმედო დაცვა ჰყავს, რამაც განაპირობა ის, რომ მეოთხე პერიოდამდე ანგარიში თანაბარი იყო. ხუთი თვის წინ კი...

ჯუმბერ წიკლაური — კუვეიტის წყალბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი:

— ამ ხუთი თვის წინ კუვეიტში 15-მდე მოცურავეს მოვუყარე თავი და ყოველდღიური ვარჯიში დავიწყეთ. თავიდან ძალიან გამიჭირდა, გამოგიტყდებით, იმედიც დავკარგე, მეგონა, არაფერი გამომივიდოდა, მაგრამ გამიმართლა იმ მხრივ, რომ თავად სპორტსმენები ძალზე მონდომებულები არიან, ბევრს შრომობენ. ვინაიდან თარჯიმანი არ მყავდა, დასაწყისში ჟესტებით ვუხსნიდი რა უნდა ეკეთებინათ, ახლა კი კარგად ვუგებთ ერთმანეთს.

აბდულა აბდულ ზადე — გუნდის კაპიტანი:

— აქ გამომგზავრებამდე კუვეიტის სპორტის საწყლოსნო სახეობების ფედერაციამ ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გამოუცხადა ქართველ მწვრთნელს ჯუმბერ წიკლაურს. ახლა წყალბურთელთა ნაკრები 25 კაცისაგან შედგება — ძირითადი მოთამაშეებისგან, რომელთა საშუალო ასაკი 20 წელია და 10-12 წლის ნორჩი სპორტსმენებისგან.

მომავალში გათვალისწინებულია კუვეიტში გაიხსნას ნორჩ წყალბურთელთა სკოლა, სადაც ჯუმბერ წიკლაურის ხელმძღვანელობით 50-60 მოზარდი დაეუფლება წყალბურთის ტექნიკას.

კუვეიტის გუნდი მონაწილეობას მიიღებს აზიის თამაშებში, რომელიც კორეაში გაიმართება. იქ I-II ადგილებზე გასული გუნდები ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე იასპარეზებენ. კონკურენცია სერიოზული იქნება. აზიის თამაშებში გამოვლენ იაპონიისა და ჩინეთის ძლიერი გუნდები. ერაყის, სირიის, კუვეიტისა და აზიის სხვა ქვეყნების წყალბურთელები ოსტატობით დაახლოებით თანაბარი დონისანი არიან.

კუვეიტელი წყალბურთელები კიდევ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ თბილისში.

პეპი გოგორიშვილი.

ძალებს ცდიან ჭაბუკები

ქართული ჭიდაობა

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჩვენი ეროვნული სპორტის საუნჯის — ქართული ჭიდაობის ტრადიციების აღდგენა-განვითარებისთვის. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ახლა უფრო ხშირად გაისმის „საჭიდაოს“ ხმა, ეწყობა სხვადასხვა რანგის ასპარეზობანი, შარშან კი ქართული ჭიდაობის დღეც დაწესდა და ამიერიდან ყოველწლიურად აღინიშნება... მთავარი ის არის, რომ ქართული ჭიდაობისკენ კვლავ იბრუნა პირი ახალგაზრდობამ.

ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ჭაბუკთა რესპუბლიკურმა პირადგუნდურმა პირველობამ, რომელიც ამ დღეებში გორის საჭიდაო დარბაზში გაიმართა. ამ შეჯიბრებაში სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა 130-მდე ფალავანი მონაწილეობდა. ბევრმა მათგანმა კარგი ტექნიკური მომზადება გამოავლინა და ეფექტური ჭიდაობით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სპორტული ორგანიზაცია უგულისყუროდ მოეკიდა ამ ღონისძიებას და სახელდახელოდ შეკოწიწებული გუნდები ჩამოიყვანა გორში.

ყველაზე უკეთ გამოვიდნენ „კოლმეურნეს“ მოჭიდავეები, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე შესაბამისად „ბურევესტნიკისა“ და „განთიადის“ გუნდები გავიდნენ.

ტექნიკური შედეგები:

49 კგ. გ. ბახტაძე, რ. ბერუაშვილი (ორივე — „კოლმეურნე“), ე. ჯოხაძე („განთიადი“).

56 კგ. ვ. ვაზაგაშვილი („ბურევესტნიკი“), ზ. ლულუნიშვილი („განთიადი“), მ. დულარიძე („კოლმეურნე“).

60 კგ. ჯ. ხომასურიძე („ბურევესტნიკი“), ბ. გვრიჰიშვილი („კოლმეურნე“), ჯ. ჩხეტიანი („სპარტაკი“).

64 კგ. ი. ფახურაშვილი („კოლმეურნე“), ა. შავგულიძე („სპარტაკი“), გ. ქერდიყოშვილი („ბურევესტნიკი“).

68 კგ. ი. სულიკაშვილი („კოლმეურნე“), დ. ლაზარაშვილი („ბურევესტნიკი“), ა. ჯვარიძე (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).

78 კგ. პ. ნანობაშვილი („დინამო“), მ. მირზაშვილი, თ. ნარიმანაშვილი (ორივე — „კოლმეურნე“).

მძიმე. გ. ნოზაძე („განთიადი“), დ. კენჭიაშვილი („კოლმეურნე“), ა. დონღუზაშვილი („ბურევესტნიკი“).

ილია თევდორაშვილი.
(„ლელო“ კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელვა-ინფორმაცია

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩები

ლევიტინას პირველი მოგება

გუშინ სოჭში დამთავრდა ი. ლევიტინა — ლ. სემიონოვას მატჩის მეორე პარტია, რომელიც წინადღით გადაიდო ლევიტინას უპირატესობით. ლენინგრადელმა დიდოსტატმა კარგად გამოიყენა ზედმეტი პაიკი და გაიმარჯვა.

ამრიგად, დაწინაურდა ლევიტინა — 1,5:0,5.

ყაიმი 33-ე სვლაზე

გუშინ ვილნიუსში დაიწყო ვ. სმისლოვ — გ. კასპაროვის მატჩი. შედგა პირველი პარტია, რომელშიც თეთრებით კასპაროვი თამაშობდა. 33-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

კიდევ ერთი ჩემპიონთა ჩემპიონი

არ არსებობს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულზე უმაღლესი სპორტული ჯილდო. ოლიმპიური ჩემპიონობა ხომ ერთადერთი საპატიო წოდებაა, რომელსაც არასოდეს მოიხსენიებენ „ექს“ თავსართთან ერთად... მაგრამ ოლიმპიურ ჩემპიონთა შორისაც არიან გამორჩეულნი...

ზეჩემპიონი... ჩემპიონი ჩემპიონთა შორის... სამართლიანად უწოდებენ იმ ბედნიერ სპორტსმენს, რომელიც სულ ცოტა სამ ოლიმპიურ ოქროს მედალს დაეუფლა.

სარაევოს ოლიმპიადამდე ზამთრის ოლიმპიური თამაშების ზეჩემპიონთა სიაში მხოლოდ 25 სპორტსმენი იყო. უკანასკნელ ოლიმპიადაზე ამ სიას ახალი სახელები შეემატა. ერთ-ერთი მათგანია 22 წლის მოციგურავე კარინ ენკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ლეიკ-პლესიდში 500 მ დისტანციაზე მოპოვებულ ერთ ოლიმპიურ ოქროს მედალს მან სარაევოში კიდევ ორი ოქროს მედალი მიუმატა. იგი ჩემპიონი გახდა 1000 მ და 1500 მ დისტანციებზე. გარდა ამისა კ. ენკემ 500 მ და 3000 მ მანძილებზე ვერცხლის მედლები დაიმსახურა. ნიშანდობლივია, რომ ციგურებით სწრაფრბენაში ოთხივე დისტანციაზე გათამაშებული 12 მედლიდან 9 მედალი (4 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო) კ. ენკემ და მისმა თანაგუნდელებმა მოიპოვეს. ასე, რომ სარაევოს ოლიმპიადა გერმანელ მოციგურავე გოგონათა ტრიუმფით აღინიშნა.

ციგურებით სწრაფრბენის დიდოსტატი — კარინ ენკე საინტერესო პიროვნებაა. იგი წინათ ფიგურულ ციგურაობაში ასპარეზობდა, და არც თუ ურიგოდ, იყო ქვეყნის პირველობის პრიზიორიც. ცხოვრობს და სწავლობს დრეზდენში, მისი სიმაღლე 1 მეტრი და 75 სმ-ია. კარგად იცის ინგლისური. არის სამგზის (1980, 1981, 1983 წ. წ.) მსოფლიო ჩემპიონი. თუმცა ერთი შესწორება: იგი უკვე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია! დიახ, სარაევოს ოლიმპიადიდან სულ რაღაც ოციოდე დღეში, 4 მარტს ნორვეგიაში მსოფლიო ჩემპიონატზე ციგურებით სწრაფრბენაში მოიგო სპრინტერული მრავალჭიდი... საუკეთესო სარვამარტო საჩუქარი მოუმზადა საკუთარ თავს.

ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, სარაევოს ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგაა აღებული. იგი გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდში“ დაიბეჭდა.

— თქვენ არნახულ წარმატებას მიაღწიეთ სპორტის ამ სახეობაში.

— მართალი გითხრათ, არც მოველოდი.

— რომელმა წარმატებამ გაგახარათ ყველაზე მეტად?

— 3000 მ დისტანციაზე მოპოვებულმა ვერცხლის მედალმა. არ მეგონა ამას რომ შევძლებდი.

— ნერვიულობთ თუ არა, როცა ძლიერ მეტოქეს უნდა შეხვდეთ. როგორ გრძნობთ თავს სტარტის წინა ღამეს?

— შეჯიბრებისათვის გულდასმით ვემზადები, ვცდილობ გავერკვე ყოველ შესაძლო სიტუაციაში. არ ვნერვიულობ, ღამით ძალზე მშვიდად ვიძინებ. აი, შეჯიბრების წინ კი ვღელავ, სასტარტო გასროლამდე რაღაც უჩვეულო გრძნობა მეუფლება.

— შემდეგ?

— სტარტის შემდეგ ბრძოლაში ვარ ჩაბმული, ნერვიულობისთვის არა მცალია.

— რა როლს თამაშობს თქვენთვის უშუალოდ პარტნიორი?

— მოკლე და საშუალო დისტანციაზე არავითარს, რადგანაც მე მაშინ მხოლოდ ტემპზე ვფიქრობ. სხვაგვარადაა საქმე 3000 მ დისტანციაზე. ამ შემთხვევაში ძლიერი პარტნიორი სასიამოვნოა.

— თქვენი მწვრთნელია რაინერ მუნდი. განსაკუთრებით რას აფასებთ მასში?

— იგი ძალზე მკაცრია და ყოველთვის უმაღლეს მიზანს გვისახავს. შექებაში ძალზე ძუნწია.

— ციგურებს თქვენ თვითონ ლესავთ?

— არა, ამას ჩემი მეგობარი ანდრიას დიტელი აკეთებს.

— თქვენ სწავლობთ დრეზდენში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. დადიხართ თუ არა სურათების გალერეაში?

— ჩემი სპეციალობაა ახალი ხელოვნება, ამიტომ ხშირად ვარ ალბერტინიუმში, სადაც სწორედ „ახალი ოსტატებია“ გამოფენილი.

— თვითონ თუ ხატავთ?

— დავდიოდი სახვითი ხელოვნების წრეში, ვხატავდი კიდეც. ისე კი ბუნებრივი ტალანტი არა ვარ.

— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

— მიყვარს ქსოვა და ბევრს ვკითხულობ.

— ვისთან ერთად შეხვდით თქვენთვის ასე ბედნიერ ახალ წელს და რა უსურვეთ საკუთარ თავს?

— ახალი წლის მოსვლა დრეზდენში ვიზეიმე ანდრიას დიტერთან და ნაცნობ-მეგობრებთან ერთად. რა ვისურვე? ერთი ოლიმპიური ოქროს მედალი.

გერმანულიდან თარგმნა
კახმებ კუდავამ.

ჭიჭიკო ჩართოლანი

78 წლის ასაკში ულმობელმა სენმა მთამსვლელთა პლეადას გამოაცალა გამოჩენილი მთამსვლელი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი ჭიჭიკო გაიოზის ძე ჩართოლანი.

ჭ. ჩართოლანი იყო გამორჩეული პიროვნება, იშვიათი ძალისა და ნებისყოფის ადამიანი, ქართული ალპინიზმის მშვენება. მის სახელთანაა დაკავშირებული საბჭოთა ალპინიზმის ისტორიის უბრწყინვალესი ფურცლები.

1937 წელს მან ადგილობრივ მთამსვლელებთან ერთად განახორციელა ურთულესი ასვლა მწვერვალ უშბაზე გულის მყინვარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლით. ამით საბჭოთა კავშირში საფუძველი ჩაეყარა ტექნიკურად რთული ასვლების კლასს—მწვერვალთა დაპყრობას კლდოვანი კედლით.

ჭიჭიკო ჩართოლანმა ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა ალპინიზმის საკავშირო ინსტრუქტორთა სკოლა. იგი ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი იყო მწვერვალ თეთნულდზე სვანეთის დიდი ალპინიადისა, რომელშიც 182 ადგილობრივი ახალგაზრდა მონაწილეობდა.

მისი ასვლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1947 წელს ნამყვამი-აილამა-წურუნგალას ტრავერსში მონაწილეობა. შემდეგ იყო შხელდა — უშბის მწვერვალების სარეკორდო ტრავერსი, რომელმაც ჩვენს მთამსვლელებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ტრავერსების კლასში ოქროს მედლები მოუტანა. 1955 წელს ჭიჭიკო ჩართოლანმა თავის მეგობრებთან ერთად კვლავ მოახდინა ასვლა ტექნიკურად რთულ კლასში — ამჯერად დაძლეული იქნა უშბის სამხრეთის მწვერვალი სამხრეთის კედლით. ესეც საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა საუკეთესო ასვლების რიცხვს მიეკუთვნება.

1957 წლიდან ჭიჭიკო ჩართოლანი მონაწილეობდა ქართველ მთამსვლელთა სასიმაღლო ასვლებში, ამავე წელს მან მოახდინა დარვაზის ქედის ტრავერსი პამირზე, ხოლო 1960 წელს ზულუმართის და იმეირ-ალაის მწვერვალების ტრავერსი.

პამირში 1957 და 1960 წლების ასვლებისათვის მას ალპინიზმში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მიენიჭა და ოქროს მედლები გადაეცა.

ჭიჭიკო ჩართოლანი დიდ აღმზრდელობით და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. სპორტული წარმატებებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მას მინიჭებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, იყო საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ფედერაციის კომისიების მუშაობაში, რჩევა-დარიგებას აძლევდა და მხარში ედგა მთამსვლელ ახალგაზრდობას.

პატიოსანი, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი მოქალაქის, გამოჩენილი მთამსვლელის ჭიჭიკო გაიოზის ძე ჩართოლანის ნათელი სახე მარადჟამს დარჩება ახლობლებისა და მთამსვლელთა ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;
საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაცია;
საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბი;
გაზეთ „ლელოს“ რედაქცია.

თასი— ახლებურად

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშება ჩვენს ქვეყანაში 1936 წლიდან ეწყობა. ამ ხნის განმავლობაში საპატიო პრიზს მრავალი მფლობელი ჰყავდა, ბევრმა გუნდმა სწორედ ამ სარბიელზე აიდგა ფეხი, მაგრამ თასის გათამაშების სისტემა ჩვენში ხშირად იცვლება, სიახლეებს კი ყოველთვის როდი მოაქვს სასურველი შედეგი.

თასის გათამაშების ახალი სისტემა დააწესეს წლეულსაც. როგორც საკავშირო სპორტკომიტეტმა გადაწყვიტა, თასი ამ წესით გათამაშდება: წლეულს 31 აგვისტოს გაიმართება 1985 წლის გათამაშების პირველი მატჩები, ეს იქნება თასის სამოცდამეოთხედფინალი, შესაბამისად მონაწილეთა რიცხვიც გაცილებით მეტი იქნება — 128. წლეულსვე გაიმართება თასის შემდგომი მატჩები მერვედფინალების ჩათვლით (28 ოქტომბერი), ხოლო მეოთხედფინალები, ნახევარფინალები და ფინალი ჩატარდება უკვე 1985 წელს.

წლეულს განახლდება ე. წ. „სეზონის თასის“ გათამაშებაც. ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირის ჩემპიონი და სსრ კავშირის თასის მფლობელი, ამასთან მეტოქეები ითამაშებენ ორჯერ. წლეულს „სეზონის თასისთვის“ იბრძოლებენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და დონეცკის „შახტიორი“, მატჩები დანიშნულია 7 და 11 აგვისტოსთვის.

შაში

ნაკრები შეირჩა

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მოშაშე ვაჟთა წლევანდელი პირველობა ორ ეტაპად ჩატარდა. ფინალში 18 კაცი თამაშობდა.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ი. სოტიევმა — 11 ქულა. II ადგილზე გავიდა ოსტატობის კანდიდატი რ. გოგოლაძე — 10, III — ოსტატობის კანდიდატი გ. დეკანოიძე — 8.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტებული გუნდი ამიერკავკასიის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

ნორჩი ჩემპიონები

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა პირველობა 64-უჯრიან შაშში. 28 ჭაბუკს შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ი. შერაზადაშვილმა — 8,5 ქულა (9-დან). მეორე იყო პ. მელიქიშვილი — 7,5, მესამე — ოსტატობის კანდიდატი ბ. ენიკოლოფოვი — 7. გოგონათა შეჯიბრებაში (18 მონაწილე) ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა ოსტატობის კანდიდატმა ი. ბეჟაშვილმა — 16 ქულა (17-დან), II ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ე. ღვინაძე — 14,5, III — მეორეთანრიგოსანი ლ. ბეჟაშვილი.

გამარჯვებული მოშაშენი მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა საქართველოს ჩემპიონატში (16-28 მარტი, თელავი).

აღსანიშნავია, რომ პირველი თანრიგის ნორმა შეასრულეს 7 წლის თ. კიკნაძემ, 8 წლის ა. ურუშაძემ და რ. გავრილოვმა.

როლანდ ქერდიყოშვილი,
სპორტის ოსტატი.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეათე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 17 (ციგურაობა), 38 (აკრობატიკა), 40 (ბადმინტონი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 10 (წყალბურთი), 17 (ციგურაობა).

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 3 მარტს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მეცხრე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 2011 მანეთია, ოთხისთვის (737 ბარათი) — 77, სამისთვის (17841 ბარათი) — 5.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (30 ბარათი) მოგება 9497 მანეთია, ოთხისთვის (4340 ბარათი) —97, სამისთვის (141736 ბარათი) — 5.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. 11 მარტი. „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მინდორი. „დინამო“ (თბილისი)—„რიწა“ (გაგრა). დასაწყისი 12 ს. ლენინის სახ. სტადიონი. „კოლხეთი“ (თბილისი) — „ინტერნატი“ (თბილისი). 16 ს. „ლოკომოტივის“ სტადიონი. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ივერია“ (თბილისი). 16 ს. 30 წთ.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე — 07184